ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7838019

ნომერი: AR11131361

თარიღი : 27.02.2026

გაცემის თარიღი : 12.03.2026

გაცნობის თარიღი : 16.03.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- თბილისი, შარტავას 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 27 თებერვალს №AR11131361 განცხადებით მომართა თენგიზ წულაიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 11

დეკემბრის №6799661 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანებით შეთანხმდა №01.18.05.001.090 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1922.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1938.9 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 718.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1723.9 კვ.მ-ის, სასტუმროს ნომრების ფართობად 3378.6 კვ.მ-ის ნაცვლად 3092.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელი, ასევე, ითხოვს შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებული იქნას კომერციული, საზაფხულო და საწარმოო ფართობები.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ფართობები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ფართობები არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ასევე, დგინდება, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებასთან ერთად ზუსტდება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 6930.5 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6930.5 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 1938.9 კვ.მ., დამხმარე ფართობად 1723.9 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად 3092.3 კვ.მ. ასევე, შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებული იქნას კომერციული, საზაფხულო და საწარმოო ფართობები.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799661 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.